საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 2467-03
27/08/2020

ქ. თბილისი

2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდის ჩასატარებლად ოთახების გამოყოფის, პროგრამების მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების, მიმღები კომისიების და საპრეტენზიო საბჭოების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს № 2226-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს № 2226-03 ბრძანებით, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებული მიღების ფარგლებში, პროგრამების მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 1- ის შესაბამისად;
2. სამაგისტრო პროგრამებზე: გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა (ევროპული-რუსული- აღმოსავლური), თანამედროვე საქართველოს ისტორია (ინგლისური ენის ტესტირება) და უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა რომანული ფილოლოგიის მიმართულებით გამოცდის ჩასატარებლად გამოიყოს ოთახები დანართი 2- ის შესაბამისად;

3. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრატურის საფეხურზე მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების კომისიების (მიმღები კომისიების და საპრეტენზიო საბჭოების) შემადგენლობა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 3-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;

4. სააპრეტენზიო განაცხადის წარდგენის პერიოდად განისაზღვროს 2020 წლის 11 სექტემბერი 10:00 საათიდან 00:00 საათამდე. საპრეტენზიო განაცხადი უნდა გადმოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე graduateschool@iliauni.edu.ge საპრეტენზიო განაცხადის საფუძველზე დანიშნული განმეორებითი ზეპირი გამოცდა ან/და ესსეების/ტესტების/სამოტივაციო წერილების განმეორებითი განხილვა შედგება 2020 წლის 14 და 15 სექტემბერს.

5. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების/დროების, გამოცდაზე დისტანციურად დასასწრები ბმულების, მაგისტრანტობის კანდიდატთა საიდენტიფიკაციო კოდებით სიების და საგამოცდო აუდიტორიების მითითებით განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე **არაუგვიანეს 29 აგვისტოსი;**

6. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანების დანართი 2 - ში მითითებული აუდიტორიების დაჯავშნა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და ამ ბრძანების დანართი 3- ით განსაზღვრულ პირებს.

გიორგი გვალია

დეკანი